



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34. 34240372

თარიღი:06/02/2024

„მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ„

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ პირველი მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

- 1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლების საერთო კრება. დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა, ხოლო დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, ასევე, ამომრჩევლებთან გაიმართოს კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.
- 2.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.
- 3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს #1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09:00 სთ-დან - 18:00 სთ-მდე, 2024 წლის 07 თებერვლიდან - 2024 წლის 21 თებერვლის ჩათვლით.
- 5.დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების გამართვის დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ (ებ)ის შერჩევა.
- 6.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე, მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვროს:

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - გივი გიუტაშვილი, ტელეფონის ნომერი: 595-90-30-03;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - თამაზ ფოლოდაშვილი, ტელეფონის ნომერი: 577-60-71-25;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნუგზარ ხუხუნაიშვილი, ტელეფონის ნომერი: 599- 20-11-26;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ილია ჯიშკარიანი, ტელეფონის ნომერი: 577-600-355;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქსნის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი ალავერდაშვილი ტელეფონის ნომერი: 571 -177-050;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ცხისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში - დიმიტრი ნიჟარაძე,ტელეფონის ნომერი: 593-477-555;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი წეროვნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ნათია პოპოვი,ტელეფონის ნომერი: 598-580-149;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქსოვრისის ადმინისტრაციულ ერთეულში - თემურ მორბედაძე,ტელეფონის ნომერი: 599-565-773;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ვაზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზურაბ დალაქიშვილი, ტელეფონის ნომერი: 557-971-276;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მუხრანის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზურიკო მიქელაძე, ტელეფონის ნომერი: 598-10-74-70;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ძალისის ადმინისტრაციულ ერთეულში - დავით პავლიაშვილი,ტელეფონის ნომერი: 599-701-424;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წილკნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ოთარ ჭალელიშვილი, ტელეფონის ნომერი: 595-052-054;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მისაქციელის ადმინისტრაციულ ერთეულში (ნავაზის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი) - გიორგი ქაშიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 555-553-349;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნატახტრის ადმინისტრაციულ ერთეულში - რომან როშნიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 591-900-390;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი აღდგომლიანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში - მიხეილ უთრუგაშვილი, ტელეფონის ნომერი: 598-808-822;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ოთარ ბინჩიგაური, ტელეფონის ნომერი: 598-224-434;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი გალაგნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლალი ბედუკაძე, ტელეფონის ნომერი: 577-554-165;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ცხვარიჭამის ადმინისტრაციულ ერთეულში - გონა ჭინჭარაული, ტელეფონის ნომერი: 599-173-141;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ძეგვის ადმინისტრაციულ ერთეულში - კობა რთველიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-372-741;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ლისის ადმინისტრაციულ ერთეულში - საბირი ალავერდოვი, ტელეფონის ნომერი: 599-426-067;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნიხბისის ადმინისტრაციულ ერთეულში - დავით ხიზანიშვილი, ტელეფონის ნომერი: 599 -699-225;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ძველი ქანდის ადმინისტრაციულ ერთეულში - კობტა ბადალოვი, ტელეფონის ნომერი: 551-552-441;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნავდარაანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში - ელგუჯა ბითარიშვილი, ტელეფონის ნომერი: 595-114-000;

-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ჯილაურას ადმინისტრაციულ ერთეულში - მერაბ მახარაშვილი,ტელეფონის ნომერი: 599- 400-680;

7.დამტკიცდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩეველებთან კონსულტაციების გამართვის გრაფიკი დანართი #1-ის შესაბამისად.

8.დამტკიცდეს საპროექტო წინადადებების ფორმა დანართი #2-ის შესაბამისად.

9.დამტკიცდეს საერთო კრების სხდომის/მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ოქმის ტიპური ფორმა დანართი #3-ის შესაბამისად.

10.ძალადაკარგულად გამოცხადდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 თებერვლის #ბ34.34220543 ბრძანება.

11.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

12..ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

